[illegible]

[illegible]

[illegible]

N16.[illegible].11. [illegible] 599-55-18-00

[illegible]

[illegible]:

AR1162067-[illegible]

[illegible] № 27-[illegible]

[illegible] 2013.[illegible]

AR

[illegible]

2.10.2013[illegible].

2013[illegible].

# დ ა ს კ ვ ნ ა

**ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კანდელაკის ქ. №27 საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრე მ. ფაცაციას ნაწილში, მზიდი კედლის დეფორმაციის შესახებ**

კანდელაკის ქ. №27 საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია. იგი აშენებულია 1956 წელს. ვ. ცხაკაიამ იგი შეიძინა 1970წელს. შენობის მზიდი კედლები აგურისაა. საცხოვრებელი ფართი 383.48 მ$^2$ შეადგენს. შემდგომ ვ. ცხაკაიას მოწილემ გაყიდა სახლის ნაწილი, რომელიც იყიდა გ. ლატარიამ.

1994წ. გ. ლატარიამ წამოიწყო შენობის რემონტი, მან თავის ნაწილზე ჩააღრმავა მიწა და არასაცხოვრებელი ფართობი გადააკეთა საცხოვრებელ ფართად. შენობას ამის გარდა დააშენა თავის ნაწილში მანსარდი, ასევე ამოიყვანა ახალი კედელი მომიჯნავე კედლის გამგრების გარეშე. ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტა უკვე იწვევს მეზობელი კედლის მუშაობის პირობების შეცვლას, რაც მოითხოვს მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლას და რაც მთავარია მეზობლის თანხმობას. ესენი არცერთი არ გაკეთებულა. 2011 წელს მან კვლავ განაახლა თავის ნაწილში შენობის რეკონსტრუქცია, ჩააღრმავა სარდაფი საკმაოდ დიდ სიღრმეზე, ხოლო მეზობლის მომიჯნავე კედელი დატოვა კვლავ გამაგრების გარეშე.

ვ. ცხაკაიას გარდაცვალების შემდეგ და ამჟამადაც სახლის თანამესაკუთრე გახდა მისი ქალიშვილი და ვაჟი: მ. ფაცაცია და ე. ცხაკაია.

მ. ფაცაციას თხოვნით 2013 წლის სექტემბერში დავათვალიერე კანდელაკის ქ. №27-ში თანამესაკუთრის მ. ფაცაციას შენობის ნაწილი, რათა დამედგინა მისი ტექნიკური მდგომარეობა. დათვალიერების შემდეგ მივედი შემდეგ დასკვნამდე:

1. მ. ფაცაციას კედლის ის ნაწილი, რომელიც ემიჯნება გ. ლატარიას საცხოვრებელ ფართს, ძლიერ დაზიანებულია, აქვს ბზარები და იმყოფება ავარიული მდგომარეობაში. კედელი მთელ სიგრძეზე ჩაწყვეტილია, მოსალოდნელია მოულოდნელი შედეგებიც, კედლის ჩამონგრევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იგი საშიშია მიწისძვრის შემთხვევაში.

2. კედლის ჩაწყვეტის მიზეზი, ვინაიდან სახლის სხვა მზიდი კედლები ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებშია, არის ის, რომ გ. ლატარიას მიერ 2011 წ. სარდაფის სიღრმეზე ამოჭრის დროს დაცული არ იყო მომიჯნავე მ. ფაცაციას კედლის მდგრადობის უზრუნველყოფა. სარდაფის ჩაღრმავებით მოხდა მ. ფაცაციას კედლის ფუძეში ძაბვათა გადანაწილება. ამან გაზარდა ფუძის ერთეულ ფართზე მოსული დატვირთვა, რასაც მოყვა კიდევაც კედლის ვერტიკალური დეფორმაცია და მისი ჩაწყვეტა.

იმისათვის, რომ აღდგეს მ. ფაცაციას კედლის მზიდუნარიანობა და ასევე თავიდან იქნას აცილებული მოულოდნელი შედგები, საჭიროა კედლის ფუძე-საძირკველს ჩაუტარდეს გაძლიერება-გამაგრებითი სამუშაოები სათანადო პროექტის მიხედვით.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

*გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების*

*მიმართულების ხელმძღვანელი, ტ.მ.დ. პროფესორი* /*გ. ჭოხონელიძე*/